

სახელმწიფო კომისიის დასკვნა სოფელ ითხვისის მცხოვრებლების ღირსეული განსახლების გარანტიებს არ ქმნის

1. დასკვნაში პრობლემურად რჩება დაზიანებული საცხოვრებელი სახლების კატეგორიულად დაყოფის და განსახლების საკითხები

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მიმდინარე წლის 2022 წლის მარტში ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში სახლების ჩაქცევიდან 3 თვის შემდეგ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის განკარგულების საფუძველზე შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც აღნიშნული პროცესების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და „სტიქიის“ არეალში მოქცეული მოსახლეობის იდენტიფიცირება დაევა. კომისიის დასკვნა, რომელიც 10 ოქტომბრითაა დათარიღებული, მოსახლეობის ნაწილისთვის ხელმისაწვდომი ოქტომბრის შუა რიცხვებში გახდა.

უწყებათაშორისი კომისიის ანგარიშის ნაწილი შეეხება სოფელ ითხვისის მოსახლეობის საცხოვრისების დაზიანებისა და მათი ნაწილის განსახლების საკითხებს. მიუხედავად აღნიშნული მიმართულებით დოკუმენტში არსებული მსჯელობისა, დიად რჩება არაერთი საკითხი, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ადგილობრივების სათანადო და სამართლიანი განსახლების პროცესს.

ანგარიშის მიხედვით, 2022 წლის მარტის თვეში მიწის ჩაქცევას მოჰყვა იმ 20 ოჯახის დროებით გადაყვანა, რომელთა სახლები სრულად ან ნაწილობრივ იყო დანგრეული და შესაბამისად, საცხოვრებლად გამოუსადეგარი იყო. ინციდენტიდან მხოლოდ 3 თვის თავზე შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მიერ, თავდაპირველად განსახლებული 20 ოჯახზე დამატებით, განხორციელდა 86 საკარმიდამო ნაკვეთისა და საცხოვრებელი სახლის ვიზუალური შეფასება, რომლებიც, კომისიის დასკვნის მიხედვით, მთავარი როფისებური ჩაქცევისა და სხვა გეოლინამიკურად დაძაბული უბნების სიახლოვეს მდებარეობდა. ზემოაღნიშნული საცხოვრისების შეფასება სამ ეტაპად განხორციელდა. კერძოდ, პირველი ეტაპი წარიმართა 27 – 28 ივნისს, მეორე ეტაპი - 8-9 ივლისს, ხოლო მესამე ეტაპი - 29-30 ივლისს. შეფასებების შედეგად მოხდა იმ ოჯახების იდენტიფიცირება, რომელთა საცხოვრისები ან/და საკარმიდამო ნაკვეთები საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. აღნიშნული ოჯახები, დასკვნის მიხედვით, იყოფა შემდეგ სამ კატეგორიად:

- ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მაღალი ხარისხის გამო მისულია ავარიულ მდგომარეობამდე ან უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია მათი ავარიულ კატეგორიაში გადასვლა, საცხოვრებლად საშიშია და რეკომენდებულია გეოლოგიურად მდგრად, უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა - ჯამში 34 ოჯახი;
- ოჯახები, რომელთა საცხოვრებელ სახლზე ფიქსირდება მნიშვნელოვანი დაზიანებები, აგრეთვე რომელთა ცალკეული საკარმიდამო ნაკვეთის ფარგლებში ავარიულად არის დეფორმირებული დამხმარე ნაგებობები. აღნიშნული საცხოვრებელი სახლების

დაზიანების ხარისხი საშუალოა, თუმცა მათი დეფორმაციის ხარისხის მომატების ალბათობა დიდია, რაც მომავალში გამოიწვევს მათი ავარიულ კატეგორიაში გადასვლას - ჯამში 20 ოჯახი;

- ოჯახები, რომელთა საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების დაზიანების ხარისხი შედარებით ნაკლებია, თუმცა კომისიას საჭიროდ მიაჩნია მათი აყვანა მონიტორინგის ქვეშ - ჯამში 32 ოჯახი.

კომისიის დასკვნის საფუძველზე, ჯამში 106 ოჯახს აქვს ამა თუ იმ ხარისხით დაზიანებული საცხოვრისები და საკარმიდამო ნაკვეთები. მიუხედავად კომისიის მიერ მიწის ჩაქცევის შედეგად დაზარალებული ან პოტენციური საფრთხის წინაშე მყოფი არაერთი ოჯახის იდენტიფიცირებისა, დასკვნა ღიად ტოვებს რამდენიმე საკვანძო საკითხს:

- დასკვნა არ ამახვილებს ყურადღებას შინამეურნეობების შეფასების პროცესის ყოვლისმომცველობაზე. დოკუმენტი არ მსჯელობს იმაზე, თუ რატომ არ მოხდა სხვა საცხოვრისების მდგომარეობის შეფასება, რომელიც კომისიის მიერ შეფასებული 106 ოჯახის მიმდებარეა ან/და ექცევა „სენსიტიური უბნის“ მიმდებარე არეალში;

- მეთოდოლოგიის და სხვადასხვა კატეგორიების არასაკმარისი აღწერის პირობებში, ბუნდოვანია, თუ კონკრეტულად რა იგულისხმება საცხოვრისებისა და კარმიდამოს დაზიანების გარკვეული კატეგორიების შინაარსში, მაგალითად, რას ნიშნავს მნიშვნელოვანი დაზიანებები ან შედარებით ნაკლები დაზიანების ხარისხი; მით უფრო, რომ მთელი პროცესი ხასიათდება გაუმჭირვალეობით და დახურულობით და როგორც ჩვენთვის ცნობილია, მოსახლეობას წვდომას უზღუდავდნენ მათი ქონების შეფასების ექსპერტულ დასკვნებზეც კი;

- ბუნდოვანია, თუ რა საფუძველი ჰქონდა შინამეურნეობების კარმიდამოს შეფასების პროცესის სხვადასხვა ეტაპად დაყოფას და ამ ეტაპების ერთმანეთისგან დროითი თვალსაზრისით დამორებას, განსაკუთრებით იმ გარემოების გავითვალისწინებთ, რომ საკითხი ეხება საცხოვრისების დაზიანებისა და სავარაუდო მყისიერი განსახლების საჭიროებებს;

- დასკვნის მიხედვით, იმისათვის, რომ საცხოვრისების შეფასებისას გამორიცხული ყოფილიყო აღრევა “სტიქიამდე” და “სტიქიის შემდგომ” დაზიანებულ სახლებს შორის, სავლელ სამუშაოები განხორციელდა ითხვისის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლისა და მისი აპარატის მონაწილეობით. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მეთოდის გამოყენების მიზნობრიობა ნათლად არ არის დასაბუთებული და ბუნდოვანია. ასევე, არ არის მითითებული, თუ 2022 წლის მარტამდე დაზიანებული რამდენი საცხოვრისი იქნა იდენტიფიცირებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- მნიშვნელოვანი მიმართულება, რაზეც დასკვნა საუბრობს, სოფელში დარჩენილი მოსახლეობის საცხოვრისებსა და კარმიდამოზე მონიტორინგის განხორციელებაა. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, საშუალო დაზიანების მქონე კარმიდამოებზე (სულ 20 ოჯახი) მონიტორინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს. მეორე მხრივ, კომისიამ ხაზი გაუსვა 32 ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების მონიტორინგის აუცილებლობაზე, რომელთა დაზიანების ხარისხი ამ ეტაპზე შედარებით ნაკლებია. დამატებით, დასკვნაში აღნიშნულია, რომ სოფელში არსებულ დანარჩენ საცხოვრებელ სახლებზე ადგილობრივი ძალებით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი, “რათა სიტუაციის გართულების შემთხვევაში დროულად იქნას მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება”.

ამასთან, კომისიის ერთ-ერთ მთავარ რეკომენდაციას წარმოადგენს ინსტრუმენტული მონიტორინგის ქსელის მოწყობა, რათა უფრო დეტალური მონაცემები არსებობდეს რეალურ დროში მიმდინარე მიწისქვეშა და ზედაპირული დეფორმაციების შესახებ, რომელიც ზემოქმედებას საცხოვრებელ სახლებზე მოახდენს. მიუხედავად მონიტორინგის მნიშვნელობის ხაზგასმისა, ამ ეტაპზე ღიად რჩება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა:

- მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყება/უწყებები;
- რეკომენდაცია მონიტორინგის სისტემის შექმნის სავარაუდო დროით მაჩვენებლებთან დაკავშირებით;
- მონიტორინგის ძირითადი მიზნები.

მიმდინარე პროცესში ცენტრალური საკითხია პრაქტიკულად უსახლკაროდ დარჩენილი და ამგვარი საფრთხის წინაშე მდგომი მოსახლეობის გრძელვადიანი განსახლება. დასკვნამ მიზანშეწონილად მიიჩნია, შეფასებული 86-ივე ოჯახის ეტაპობრივი გადაყვანა გეოლოგიურად მდგრად ტერიტორიაზე, რასაც ემატება უკვე დროებით ქირით გაყვანილი 20 ოჯახი. შესაბამისად, ეკოლოგიური ვითარებიდან და დაზიანების ხარისხიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სოფელში არსებული მდგომარეობა შეფასდეს ერთიანობაში და შესაბამისმა უწყებებმა, იმსჯელონ, რამდენად არის შესაძლებელი მომდევნო წლებში სოფლის ან მისი ნაწილის (ქვემო ითხვისის) შენარჩუნება საცხოვრებლად უსაფრთხო ზონად. ნებისმიერ შემთხვევაში, ფაქტია, რომ სოფლის უბნების ნაწილი საცხოვრებლად უსაფრთხოდ ვეღარ ჩაითვლება, შესაბამისად, სახელმწიფო, ვალდებულია, უზრუნველყოს სათანადო საცხოვრისზე უფლების პრაქტიკაში რეალიზება და ადგილობრივების ქმედითი ჩართულობით შეიმუშაოს განსახლების გრძელვადიანი პოლიტიკა (გეგმა/ჩარჩო დოკუმენტი), რაც, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა მოიცავდეს მოსახლეობის საარსებო წყაროებზე, სარჩოზე უწყვეტი წვდომის უზრუნველყოფას და დაზარალებული ოჯახების სამართლიანი წესით კომპენსირებას.

გარდა ამისა, ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას სოფლის მცხოვრებლებს, როგორც თემის წევრებს, შორის არსებული მრავალთაობიანი კავშირი და სოფელში არსებული კომუნალური ინფრასტრუქტურის და სხვა საერთო ობიექტების გადატანის საკითხი. სწორედ ამიტომ, რომ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, უნდა მოხდეს დაზარალებული ოჯახებისთვის ალტერნატიული, ექვივალენტური მიწის ნაკვეთების შეთავაზება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სოფლის სოციალური ქსოვილის მთლიანობის შენარჩუნება და თავიდან იქნეს არიდებული თემის დანაწევრება.

შესაბამისად, განსახლების პროცესების მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, არსებითია, უმოკლეს დროში მოხდეს უწყებათაშორისი მექანიზმის/პლატფორმის ჩამოყალიბება, რომელიც მოსახლეობისა და ექსპერტების ჩართულობით იმსჯელებს და შეიმუშავებს სიტუაციის მონიტორინგის მექანიზმს და განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს.

II. ჩაქცვის მიზეზების შესახებ კომისიის შეფასება მოსახლეობის შკითხვებს და წუხილებს ვრ პასუხობს

კომისიის მუშაობის საფუძველზე მომზადებული დასკვნის მიხედვით, ჩაქცევა გამოწვეულია შემდეგი გარემოებების კუმულაციური ზემოქმედებით:

- საკვლევ ტერიტორიაზე არსებული, გასული საუკუნის სხვადასხვა პერიოდში მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით შექმნილი სივარულიები (ანთროპოგენური ზემოქმედება);
- ამგები ქანების არამდგრადი ხასიათი
- უხვი ატმოსფერული ნალექი.

კომისია მუშაობის პროცესში დიდწილად „ჯორჯიან მანგანუზის“ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას დაყრდნობდა და სოფლის მცხოვრებლების წუხილები სათანადოდ არ გაითვალისწინა.

აღსანიშნავია, რომ სოფელზე მანგანუმის მოპოვების გავლენების შესაფასებლად, კომისიამ სამთო-მოპოვების სქემები „ჯორჯიან მანგანუზისგან“ გამოითხოვა და კვლევის პროცესში მას დაეყრდნო, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ჩვენთან საუბრებში, აღნიშნავს, რომ აღნიშნული სქემები არასრულია და მათზე არ არის დატანილი სხვა სახლების ქვეშ მიმდინარე მოპოვება, უგულებელყოფილი იქნა. ეს იმ ფონზე, როდესაც დასკვნა უყურადღებოდ არ ტოვებს კომპანიის წარმომადგენლების მიერ ზეპირად მიწოდებულ ინფორმაციასაც კი.¹ კომისიის დასკვნაში მოცემული რუკიდან (N21) ჩანს, რომ შესწავლილი ას ექვსი შენობა-ნაგებობიდან მხოლოდ ოცია „ჯორჯიან მანგანუზის“ მოპოვების არეალის სიახლოვეს და ყველა სხვა ნაგებობა მის მიღმაა.

კომისიის მუშაობაში პრობლემურად გამოიკვეთა მოსახლეობის ჩართულობის და ინფორმირებულობის საკითხები

აღსანიშნავია, რომ კომისიის მუშაობაში, რომელიც ადგილობრივების სოფლის და საცხოვრებელი სახლების ბედ-იბლის გადაწყვეტა ჰქონდა მინდობილი, მოსახლეობის ჩართულობის ხარისხი უკიდურესად დაბალი იყო. კომისიის მუშაობაში არ მონაწილეობდა სოფლის მიერ ნდობით აღჭურვილი არც ერთი წარმომადგენელი და მუშაობის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, კომისიის სხდომების ოქმები) საჯარო არ გამხდარა. კომისიის მუშაობაში მოსახლეობის ინტერესების წარმომადგენლის ჩართვის თხოვნაზე პასუხი შესაბამისი უწყებებისგან კომისიის მიერ საბოლოო დასკვნის გამოქვეყნების შემდეგაც არ მიგვიღია. ამასთან, გარდა იმისა, რომ მოსახლეობის ნაწილისთვის ბუნდოვნად დარჩა დაზიანების სხვადასხვა კატეგორიებში მოხვედრის საფუძველი, რიგ შემთხვევებში, ადგილობრივებს წვდომას უზღუდავდნენ მათი ქონების ექსპერტულ შეფასებებზეც კი.

ამავდროულად, საკვანძო მნიშვნელობის ინფორმაციაზე ხელი არც საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიუწვდებოდათ; „ჯორჯიან მანგანუზის“ მოპოვების გეგმებისა და სქემების შესახებ ცნობები გარემოსდაცვით ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივასაც“ ჰქონდა გამოთხოვილი ითხვისში მომხდარი მიწის ჩაქვეყნის შემდეგ, თუმცა ის, მთელი ამ დროის მანძილზე, საჯაროდ ხელმისაწვდომი არ გამხდარა.

¹დასკვნა ციტირებს შპს „ჯორჯიან მანგანუზის“ წარმომადგენლებს, რომლებიც „აღნიშნავენ, რომ სამთო სამუშაოები ამ არეალში ნაწარმოებია 1970-1980-იან წლებში და 2007 წლამდე განხორციელებული სამთო სამუშაოების შედეგად გამოწვეული მოსახლეობის უძრავი ქონების დაზიანებაზე კომპანია ვერ იქნება პასუხისმგებელი.“

კითხვებს აჩენს, რამდენად შეეძლო კომისიას არსებულ დასკვნამდე მისვლა შესაბამისი კვლევების და დოკუმენტაციის არარსებობის პირობებში

როგორც ითქვა, 2007 წლის შემდეგ კომპანიის მიერ წარმოებული სამთო-მოპოვებითი სამუშაოების სქემები კომისიას თავად „ჯორჯიან მანგანუმა“ მიაწოდა, ხოლო რაც შეეხება მე-20 საუკუნეში მიმდინარე მოპოვების სქემებს, კომისიის დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ ეს ინფორმაცია საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ჩაქცევის მიზეზად სწორედ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მიმდინარე მოპოვება სახელდება, დასკვნაში ცხადად არ არის განმარტებული, ზუსტად სად მიმდინარეობდა ეს სამუშაოები და სქემების არარსებობების პირობებში, როგორ დადგინდა მათი გავლენა მიმდინარე წლის მარტში მომხდარ პროცესებზე.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ აპრილში მომზადებულ დოკუმენტში ერთმანეთისგან გამიჯნულია, ერთი მხრივ, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მიმდინარე მოპოვება და მეორე მხრივ, 2007 წლის შემდგომ წარმოებული სამუშაოები. იმ პირობებში, როდესაც არც სააგენტოს წინასწარ დასკვნაში და არც უწყებათაშორისი კომისიის საბოლოო შეფასებაში გასული საუკუნის მოპოვების შესახებ შესაბამისი კვლევებზე და მტკიცებულებებზე მითითებას არ ვხვდებით, ჩნდება შეკითხვა, რა გზით (გარდა თავად კომპანიის მიერ მიწოდებული სქემებზე დაყრდნობისა) შეძლო კომისიამ, ასე ერთმნიშვნელოვნად გაემიჯნა „ძველი“ და „ახალი“ მოპოვების შედეგები, როდესაც დასკვნაში მოყვანილი წყაროები და კვლევის მეთოდოლოგია, გარეშე დამკვირვებლისთვის ერთი შეხედვით ამის საფუძველს არ ქმნის.